ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

ხელმოწერით მასალა უნდა იყოს [illegible] ავტორის ვინაობა და მისამართი. [illegible] ხელნაწერი [illegible] უკან არ დაუბრუნდება. ხელმოუწერელი მასალა არ იბეჭდება და რედაქცია არ აძლევს [illegible] მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქციაში ღია ყოველ დღე 9—3 საათამდის, [illegible] გარდა. [illegible] მხოლოდ შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

[illegible] 18 მ. [illegible] 6 მ. და 50 კ. [illegible] 30 კ. [illegible] 50 კ. [illegible] 30 კაპ. [illegible] 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. [illegible] 1 მან. [illegible] 1 მ. და 50 კ. [illegible] 1½ [illegible] 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს. მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 [illegible] Тифлисъ, почт. ящикъ № 76. [illegible] Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დღეს:

### ცნობები:

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მიწა-წყალზე რუსეთის რესპუბლიკის კანონები დროებით ძალაში დარჩება.—გამოიცა კანონი მიწათ-მოქმედების სამინისტროს ზოგიერთა დაწესებულების გაუქმების შესახებ.

ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტად ვიკონტ ფრენჩი დაინიშნა.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ნინო ივანეს ასული თავ. თუმანიშვილები და ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვარი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ძვირფას ქალის და შვილიშვილის

ტასო თუმანიშვილის

ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია პარასკევს აპრილის 27 (მაისის 10) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი 2 საათზე.

2—1597—2

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ანნა ბესარიონის ასული, ილარიონ ივანეს ძე, ცოლი ანნა ივანეს ასული, ძმები: პლატონ და იაკობ კარგარეთელები, და მარუსია ილარიონის ასული და იოსებ [illegible] ძე ზაალიშვილები, დეიდა ეკატერინე ეგნატეს ასული ონიკოვისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს 10 მაისს (ახალი სტილ.) შუადღის 12 ს. გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

ვასილ ილარიონის ძის კარგარეთელის

სულის მოსახსენებლად.

1—1600—1

კნ. ალექსანდრა ივანეს ასული, თ. ვასილ ივანეს ძე, შვილები იოსებ და ირაკლი ჯავახიშვილები, ვახტანგ ივანეს ძე ზაალიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს 10 მაისს (ახალი სტ.) პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარი სიძის

ვასილ ილარიონის ძის კარგარეთლისა

პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზედ.

1—1600—1

მწუხარებით გულმოკლულნი: მარიამ ალექსანდრეს ასული და იოსებ ნიკოლოზის ძე თუმანიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, დაუვიწყარი შვილის

თამარ თუმანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ცხედრის გამოსვენება შაბათს მაისის 11 დილის 10 ს. ა. ი. ანდრონიკაშვილის ბინიდან (ოლღას ქ. № 9)—რომაულ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში (კათოლიკეთა ქუჩა) დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

2—1602—1

ნიკოლოზ [illegible] ალექსანდრეს ძენი ისარლოვები შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ შვილიშვილის

თამარ თუმანიშვილის

გარდაცვალებას.

გამოსვენება შაბათს, მაისის 11, დილის 10 ს. ა. ი. ანდრონიკაშვილის ბინიდან რომაულ-კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე

2—1602—1

ნინო ალექსანდრეს ასული, ალექსანდრე იოსების ძე და ლუიზა ადოლფის ასული ანდრონიკაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარ შვილის შვილის, მეორეთა ბიძაშვილის

თამარ თუმანიშვილის

გარდაცვალებას.

გამოსვენება შაბათს, მაისის 11 დილის 10 ს. ა. ი. ანდრონიკაშვილის ბინიდან (ოლღას ქ. № 9) რომაულ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

2—1602—1

გულ დამწუხრებული [illegible] ნიკოლოზის ძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ (23 აპრილს) 6 მაისს გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე და დანარჩენების დაუვიწყარი დედა

თამარა ლუკას ასული

კვეზერელი-კოპაძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ნახევარ საათზე, საკუთარ ბინაზედ [illegible] ქუჩ., სახლი 22. გამოსვენება კვირას (29 აპრილს) 12 მაისს დილის 10 საათზე წმიდა მარინეს ეკლესიაში (ავლაბარში).

(3—1598—2)

ირაკლი ზაქარიას ძე და ეკატერინე [illegible] ასული მაჩაბელი შვილებითურთ, თამარ ზაქარიას ასული [illegible] სოფიო ზაქარიას ასული მაჩაბელი აუწყებენ, რომ შაბათს, მაისის 11, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

ზაქარია ირაკლის ძის მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევს პირველის ნახევარზე.

1—1

## მორიგების გზა

ჩვენი საზოგადოება უკვე შეუდგა სახავო მოლაპარაკების მოსალოდნელ შედეგების კვლევა-ძიებას. ჩვენ ისეთ ხანას განვიცდით, როდესაც თვით დიპლომატიური საიდუმლოებაც ფერ თავდება დახურულს კარებში და საგარეო პოლიტიკაც, ისევე როგორც საშინაო, თვალხილული მოქმედებაა. ამას, რასაკვირველია, უარყოფითი შედეგები მეტი აქვს, ვინემ დადებითი, მაგრამ უარესი იქნებოდა, რომ მისი მცირე სიკეთეც არ გამოვიყენოთ. უხლანდელი ჩვენი დიპლომატიური პოლიტიკის სარგებლობიანობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა პოლიტიკური ხელმძღვანელების საზოგადოებისათვის გაცნობა საფუძვლით აშკარავებს ხალხის სურვილს და ამის შემდგომ მთავრობა და დიპლომატიის ხომალდი გაბედულად მიჰყვება საზოგადოებრივი ნების მიმდინარეობას. ეს, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, თვით პოლიტიკურ ხელმძღვანელთათვის არის უფრო ადვილი და უხიფათო. ხალხისთვის არ იქნება საყვედური, თუ კი მისმა ნებისყოფამ სწორი გზა და მიმდინარეობა გაიკვლია. არსებობს სხვა ჯურის პოლიტიკაც. ეს, როდესაც პოლიტიკური კომბინაციები მზირად მთავრობის კაბინეტების ვიწრო წრეებში იბადება და არა ფართო მასსაში და ეს შექმნილი პოლიტიკური ხაზები თვით ჰქმნიან და ძლევენ მიმდინარეობას საზოგადოებრივ აზრსა და ნებისყოფას. სხვა ქვეყნების პოლიტიკა სიმარულს ორივე გზით არის ჩვეული. იმისდა მიხედვით, თუ რომელი უფრო შეეფერება შექმნილ გარემოებას და დასახულს მიზანს. მაგრამ ამ გზებით მსვლელობისათვის საჭიროა, რომ პოლიტიკა ძლიერი იყოს არა მარტო კოჰებში, არამედ სათავეშიაც, რაც ჩვენთვის მეტად არა-დემოკრატიულად ჩაითვლება.

ყოველს შემთხვევაში ჩვენ დიპლომატიასაც ოფიციალურად მთავრობა და მისი წარმომადგენელნი აწარმოებენ და არა ფართო დემოკრატიული მასსა. დიპლომატიურ სასწორზე ერის ინტერესების დირსეულად შეფასება მათს მოვალეობას შეადგენს. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი როდესაც ის გარკვეულად არის გამოცხადებული, დიდს სიმძიმეს წარმოადგენს ყოველგვარი დიპლომატიური სასწორი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქვეყნის აზრს და სურვილს, როდესაც ეს მტკიცედ და აშკარად იქნება გამოთქმული, ღირსეული დაფასება მიეცემა ბათუმის კონფერენციაზე. მით უმეტეს, როდესაც ის ბუნებრივია და მართალი და არავისთვის არ შეიძლება იყოს საეჭვო, რომ სავსებით შეეფერება ხალხის უცილობელ ინტერესებს.

ომი სწარმოებს ცეცხლით და მახვილით და ომის დროს მხოლოდ ძალა მეტყველებს. ხოლო როდესაც ომის ადგილზე ზავსა და მშვიდობიანობას იწვევენ, მათ თავის ძალა მოჰყვება და ეს არის ერის სურვილი და მშვიდობიანი მოქალაქობრივი ცხოვრების ინტერესები და საჭიროებანი.

თუ ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს მიზნად აქვს დასახული ამიერ-კავკასიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამყარება და განმტკიცება, ასეთი მიზანი რასაკვირველია მათ დასახული უნდა არა ჩვენი სიყვარულობისათვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა თავის ინტერესებისათვის. ოსმალეთს ჰსურს ჩრდილოეთი საზღვრები ჰქონდეს გამაგრებული მთელი სახელმწიფოებრივი სხეულით, რომელიც ამ მიზნისთვის უფრო საიმედო იქნება ვინემ ძლიერი ციხე-სიმაგრეები. გერმანიას, რამდენადაც გამორკვეულია მისი აღმოსავლეთის მიზნები, სურვილი აქვს ეკონომიურ-სტრატეგიულ ბაზათ გაიხადოს ამიერ-კავკასია, რომელიც ევროპისა და აზიის შემაერთებელი ყელია.

ბათუმის საზავო კონფერენციის მონაწილეებმა სწორედ ისეთი ხაზის გამონახვა უნდა შეაძლებინოს, რომელიც ოთხთა კავშირის მიზნების განხორციელებას ისეთს მიმართულებას მისცემს, რომ ეს შესაძლებლად გახდის თვით ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ ზრდა-განვითარებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიქმნება შესაძლებელი ნამდვილი ზავის ჩამოგდება და ჩვენი ქვეყნის ოთხთა კავშირის ერებთან მეგობრული განწყობილების დამყარება.

უხეში ძალით ნამდვილი ზავი არ დამყარდება და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესებთან თავის მიზნების შეგუება შეჰქმნის ისეთს სახელმწიფოებრივ მდგომარეობას ამიერ-კავკასიაში, რომელიც არა წუთიერად ხოლო, არამედ სამუდამოდ მიანიჭებს ოსმალეთს საიმედო საზღვარს და მის მოკავშირეებს კი კულტურულ ბაზას და ეკონომიურ ასპარეზს.

თუ ჩვენ მოპირდაპირეთ ნამდვილ ზავისა და მშვიდობიანობის დამყარება აქვთ მიზნად, ისინი აუხვევენ გვერდს იმ მოვლენას, რომ ქ. ბათუმისა და ბათუმის სანაპიროს საკითხში ერთსულოვანია მთელი ქართველი ერი განურჩევლად ყოველი კლასიური და პოლიტიკური სხვა და სხვაობისა და არა მარტო ქართველი ერი, არამედ ამიერ-კავკასიის ყველა ძალები, რომელთაც გულწრფელად ჰსურთ ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი აშენება, ბათუმის საკითხს ერთნაირად უყურებენ. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ეს ქალაქი და ეს სანაპირო მთელი ამიერ-კავკასიისთვის წარმოადგენს უცილო-

ივერიელი

ბელს საჭიროებას და არა მარტო რომელიმე წრე და ჯგუფისთვის. ამ კუთხის სავსებით ამოჭრა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის სხეულიდან ბუნებრივად შეჰქმნის ისეთს მდგომარეობას, როდესაც ჩვენი ქვეყნის განვითარების გზები დახშული იქნება და ეს რასაკვირველია ცუდი ნიადაგი იქნება ჩვენი ერის ოთხთა კავშირთან მშვიდობიანი და მეგობრული განწყობილებისათვის.

მეორეს მხრივ ასევე აშკარაა ოსმალეთის ინტერესები ამ კუთხეში. იქ მოსახლეობს მისი სარწმუნოების ხალხი და ამ მხარეს დიდი სამხედრო და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ოსმალეთის როგორც პირველი, ისე მეორე ინტერესის დაკმაყოფილება სავსებით შესაძლებელია, არა მარტო ამ მხარეში, არამედ მთლად ამიერ-კავკასიის მასშტაბში. ამიერკავკასიის საზღვრებისა და სტრატეგიული პუნქტების გამაგრების საქმეში ძნელი არ იქნება ჩვენი ოთხთა კავშირთან შეთანხმება და ამიერკავკასიის ყველა ერების სარწმუნოებრივ-კულტურული ინტერესები სავსებით დაცული იქნება ამიერკავკასიის ყველა ნაწილებში.

მეორეს მხრივ გერმანიის მიზნების შეთანხმება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აუცილებელ საჭიროებებთან სავსებით შესაძლოა. რასაკვირველია, ისეთი პირობები, რომელნიც გერმანიამ დაუდვა ბოლშევიკურს რუსეთს, ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სავსებით განიავებას მოასწავებდა, და ეს ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულ სხვა პირობებით შეუთანხმდა გერმანია იმ სახელმწიფოებს, რომელთა წარმოშობას თვით შეუწყო ხელი—უკრაინას, პოლონეთს, ლიტვას. როგორც პირველს, ისე მეორე საკითხში ოთხთა კავშირის წარმომადგენლებს შეუძლიან ისეთი სახის გამონახვა, რომელიც მათთვისაც იქნება დამაკმაყოფილებელი და ჩვენი არსებობისა და განვითარებისათვისაც არ იქნება შემბორკავი და აუტანელი.

ა. ასათიანი.

## ბათუმის კონფერენცია

ბათუმის საზავო კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში. ხალხი ამასა ჰგრძნობს, იგი მიხვდა, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს მოწყობაში შინაურ განწყობილებას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც გარეშე ძალთა დამოკიდებულებას, დიდ სახელმწიფოთა შეხედულებას ახალი ერთეულის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ალბად, სცნობენ ის სამეფონი და რესპუბლიკანი, რომელთა აზრს გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ყოველს შემთხვევაში, ახალი სახელმწიფოს სუვერენობა შეწყნარებული იქნება ცენტრალ ევროპის კავშირის მიერ. იმ ფაქტს, რომ ბათომში უკვე ჩამოსულა გერმანეთის დელეგაცია უცილობელი გავლენა ექნება საზავო მოლაპარაკების მსვლელობაზე: ცენტრალ კოალიციის ხელმძღვანელის წარმომადგენელნი თვით გადასწყვეტენ იმ საკითხსაც, რომელნიც შეურიგებელ უთანხმოებას ჰბადებენ ჩვენსა და ოსმალთა შორის; ჩვენის აზრით, ოტომანის იმპერიის გადამეტებულ პრეტენზიებს ისეთი განუსაზღვრელი გასაქანიც აღარ ექნება, როგორც ჩვენ ვხედავდით ტრაპიზონის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს. თუმცა სტრატეგიულად გარემოებანი შეიცვალნენ ოსმალთა სასარგებლოდ, რომელმაც ფაქტიურად დაიპყრო სადაო პუნქტები, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, ისიც, რომ პოლიტიკური პირობები ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალნენ. ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების დროს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი სახე მეტად გამოურკვეველი და შეუნდოვანი იყო, არა მარტო უცხო სახელმწიფოთათვის, არამედ ჩვენთვისაც კი, რადგანაც იმ დროს მთავრობა დამოუკიდებლობას ამყარებდა მხოლოდ ფაქტიურ მდგომარეობაზე. მოსაზრება, რასაკვირველია, არავის აკმაყოფილებდა და საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით სრული აბსურდი იყო. ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა საეჭვო რომ არ ყოფილიყო, ოსმალეთის დიპლომატები ხომ არც შეეკითხებოდნენ სეიმის დელეგაციას,—ვისი წარმომადგენელია იგი! თვით დელეგაციის შემადგენლობა სრულებით ვერ აკმაყოფილებდა დიპლომატიის მოთხოვნილებებს: დელეგაციაში სჭარბობდა სოციალისტური წარმომადგენლობა, რადგანაც მის შედგენაში იმითი კი არ ხელმძღვანელობდნენ, რა სჯობდა ძნელ დიპლომატიურ მოლაპარაკების ჯეროვან დასამთავრებლად, არამედ უმთავრესად იმ აზრით, რომ ტენდენციური მიმართულება მიეცათ საზოგადოდ მთელის მოლაპარაკებისათვის. გაგონილა სადმე, რომ დიპლომატებს ზურგით გაატანონ წინდაწინვე შემუშავებული ფორმულა და მათ დანიშნულებას მისცენ, ასე ვსთქვათ, ულტიმატიური ხასიათი?!

ბათუმში გამგზავრებული დიპლომატიური დელეგაცია დააკმაყოფილებს ყველას, ვისაც სახელმწიფოებრივი შეგნება რიგიანად შეთვისებული აქვს. ჩვენ არ შეგვიძლიან გადაჭრით ვთქვათ, რომ ახლანდელი დელეგაცია ციდან მანანას მოგვცემს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მისი შედგენილება დიპლომატიურადაც, პოლიტიკურადაც და, თუ გნებავთ, მეცნიერულადაც შესაფერად დაუხვდება თვით გამობრძმედილ და დახელოვნებულ გერმანელ დიპლომატიურ კორპუსს. გარდა ამისა, საყურადღებოა ის, რომ ამიერ-კავკასიის დიპლომატიური დელეგაცია მოწყობილია საქმიან ნიადაგზე; სადარბაზო დეკორაციების ჩამოშორებით და ერთგვარი გაწმენდით ჩვენმა დელეგაციამ მხოლოდ მოიგო: ნასიამოვნები არის, ალბად, თავმჯდომარეც, რადგანაც მას კულავინდებურად ირგვლივ ცქერა აღარ მოუხდა—„ვაი თუ ვინმემ ისეთი რამ წარმოშობოს, რომ საქმე წაახდინოს“!

ის გარემოება, რომ ამ ჟამად მარტო ბრწყინვალე პორტასთან არა ვართ პირისპირ წამდგარი, ჩვენის აზრით, ამიერ-კავკასიის სახელმწიფოსათვის ფრიად ხელსაყრელია. აქაც, რასაკვირველია, არ უნდა ვიქონიოთ გაზვიადებული იმედები; უნდა გვახსოვდეს, რომ, თუმცა დღეს ცენტრალ ევროპის სახელმწიფოთა ორბიტში შევდივართ, მაგრამ აქამომდე ოთხი წლის განმავლობაში სასტიკად ვებრძოდით მათ; 300,000 საუკეთესო მხოლოდ ქართველი მებრძოლი იყო რუსის მთავარსარდლის განკარგულებაში და ამ ჯარს ხშირად გაჭირვებაში ჩაუგდია გერმანეთი და მით უმეტეს, ოსმალეთი. ამ გარემოებას თუმცა უფრო ფსიხოლოგიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამავე ხნის განმავლობაში სახონთქრო ერთგულად და პირდაპირ მონურად ემსახურებოდა ვილჰელმის საუფლობელს და ეს სამსახური დაუწყო ბალკანეთში საუკეთესო ადგილების დათმობითაც,—გასაგებია, რომ გერმანეთი შეეცდება გამოუნახოს კომპენსაცია მოკავშირეს. ტერიტორიის დანაკლისი უნდა აუნაზღაუროს ოსმალეთს! ერთად-ერთი გასაწევი საზღვარი კი ჩვენი ქვეყანაა და სწორედ აქ მოხდება ეს ოპერაცია... მაგრამ სად დაიდება ამ ორი სახელმწიფოთა შორის მიჯნა? რა საზღვრამდე ამოიწევს ჩრდილოეთისკენ ოსმალეთი? განხორციელდება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სავსებით?

რ. ინგილო.

## მთავრობის სხდომა

**რუსეთის რესპუბლიკის კანონების დროებით ძალაში დარჩენის შესახებ**

მთავრობის სხდომაზე მაისის 2-ს საჭიროდ და დროის შესაფერად აღიარებულ იქმნა გამოიცეს ოფიციალურად ამ ხანებში განცხადება იმის შესახებ, რომ დროებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის რესპუბლიკის კანონები ძალაში დარჩება.

ერთადერთ ორგანოდ რომელმაც ეს განცხადება უნდა გამოსცეს არის სეიმი. განცხადების პროექტი უკვე წარედგინა სეიმს.

**პროექტი**

ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო შესაძლებელ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებთ ყველა დაწესებულების პირთა და ყველას საყურადღებოდ:

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მიწა-წყალზე ძალაში რჩება რუსეთის რესპუბლიკაში შემოღებული კანონები მანამდე ვიდრე ახალი დადგენილება არ იქნება მიღებული იმის შესახებ. ძალაში დარჩება აგრეთვე 1917 წლის ოქტომბრის 25-მდე გამოცემულ დამატებითი კანონები და ბრძანებანი, გარდა პირველი ტომის ორივე ნაწილისა და აგრეთვე გარდა იმ წესდებათა და დაკანონებათა, რომელთა მოქმედებაც მათი შინაარსით არ უნდა იქნეს გავრცელებული ამიერ-კავკასიაზე წინადვე. ამას გარდა უნდა იხელმძღვანელონ ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ საკანონმდებლო წესით და მთავრობის მიერ კი ბრძანების სახით მიღებულ დადგენილებით.

## მთავრობის ცნობა

აპრილის 11 (24) გენ. ნაზარბეგოვს ებრძანა, რომ აპრილის იმ დღესვე, არა უგვიანეს ღამის 12 საათისა, გაეგზავნა პარლამენტერები ოსმალეთთან, რათა გამოერკვიათ დრო და პირობები ყარსის დასაცლელად. ამასთანვე იგი უნდა ცდილიყო რაც შეიძლებოდა მეტი დრო ეთხოვნათ. ამ საქმის საბოლოო გადასაწყვეტად ნაზარბეგოვს უნდა ჰქონოდა დრო, რომ შეეძლებოდა მთავრობის აზრიც გაეგო. ამასთან ერთად მინისტრთა თავმჯდომარემ და დროებითი სამხედრო მინისტრმა ოფიციელმა დეპეშით აცნობა ვეხიბ-ფაშას, რომ ყარსის ოლქის დასაცლელად ჩვენი ჯარებისაგან საჭიროა 7 დღის ვადაო, რომ ჯარებმა შესძლონ დამშვიდებით დახევა, რომ ჩვენი ჯარების მიერ ფორტების დასაცლელად საჭიროა ორი-სამი დღე-ღამე და არა ერთი, როგორც მოითხოვენ ოსმალებიო, ხოლო ყარსის დასაცლელად და იქიდან ქონების გამოსატანად საჭიროა ერთი თვე, ამასთანავე საჭიროა საშუალება მოგვეცეს აგრეთვე ყარსიდან სახელმწიფო ქონების გამოტანისა. ქრისტიან მცხოვრებლების გამოსაყვანად, რომლებიც სულ ერთიანად სტოვებენ იქაურობას, საჭირო იყო 2 კვირა. ამ ხნის განმავლობაში რკინის გზის განაპირა ადგილები ჩვენი ჯარების განკარგულებაში უნდა ყოფილიყო. ყარსთან მდგომ ოსმალთა ჯარების უფროსმა 11 აპრილს დილით წერილი გაუგზავნა ჩვენი რაზმის უფროსს ვეხიბ-ფაშის ზემო მოყვანილ პირობებით, რის შესახებაც არაფერი არ იცოდა ციხის კომენდანტმა, არ დაუცადა ამ პირობების ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ დამტკიცებას და შეუდგა მის ცხოვრებაში გატარებას. ციხის კომენდანტს 11 (24) აპრილს ვერ მიუსწრო მთავრობის განკარგულებამ ციხის უბრძოლველად ოსმალებისთვის გადაცემის შესახებ, მას უნდა მიეღო შესაფერი ზომები, რომ შეეჩერებინა ოსმალთა ჯარების შემოტევა საქმის გამორკვევამდე, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენი არტილერიით ოსმალთა ჯარებისთვის ყუმბარების დაშენა, რაც უმალვე შესწყდა, როცა ოსმალთა ჯარები შეჩერდნენ. ამ გაუგებრობას ხელი შეუწყო აგრეთვე ოსმალთა პირობების გაურკვევლობამ ორი ვერსის მანძილის შესახებ. (ამიერ-კავკასიის ჯარები შორდებოდნენ ორი ვერსით ფორტებს თუ ოსმალთა ჯარები უახლოვდებოდნენ).

ოსმალეთის ნაძირლებმა შემოტევამ ყარსზე დილით 11 (24) აპრილს ქალაქის მცხოვრებლებს თავზარი დასცა, რასაც შედეგად მოჰყვა ქალაქიდან მცხოვრებლების უთავბოლოდ გაქცევა, ცეცხლის გაჩენა ქალაქში და რამდენიმე ექსცესი. ციხის უბრძოლველად გადაცემის შესახებ კომენდანტმა ბრძანება მიიღო მხოლოდ საღამოს 7 საათზე 11 (24) აპრილს, მაშინ კომენდანტმა ოსმალებს გაუგზავნა პარლამენტიორები და 12 (25) აპრილს დილიდანვე წინასწარი შემუშავებული პირობების თანახმად ჩვენი ჯარების ნაწილებმა კომენდანტის განკარგულების თანახმად დასტოვეს ფორტები, რომლებიც შემდეგ დაიკავეს ოსმალთა ჯარებმა, რაიც მოხდა ოსმალთა ჯარების უფროსის და ციხის კომენდანტის ურთიერთშორის შეთანხმებით.

ამ ჟამად ჩვენი ნაწილები, რომლებიც ყარსის ოლქში იდგნენ, არპაჩაის იქით გადავიდნენ. მათ ნაბრძანები აქვთ შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება. გუმბრის ციხის ფორტები, არპაჩაის მარჯვენა ნაპირზე ჩვენებმა ააფეთქეს რადგან ხსენებული ფორტები მდებარეობდნენ ყარსის ოლქში.

ჩინგილის და კარავანსარაის გადაავალში (ერევნის გუბერნია) ოსმალთა ჯარები აპრილის 14 და 15-ს საზღვარს გადმოსცილდნენ და იგდირისკენ წამოვიდნენ. დაიპყრეს სოფ. ორგოვი. ამ ჟამად მათ კვლავ საზღვრისკენ დაიხიეს. ზღვის პირის მიმართულებით ოსმალები განაგრძობენ ოზურგეთის რაიონის დაჭერას. ვეხიბ-ფაშის უკანასკნელ ცნობის თანახმად მათ განზრახული აქვთ იგი დასცალონ და ამიერ-კავკასიის მთავრობას დაუბრუნონ, რაკი ბათომის მოლაპარაკება კეთილად დაგვირგვინდება.

ოსმალების მიერ დაჭერილ ადგილების მცხოვრებთა სასარგებლოდ მთავრობამ რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა. ეთხოვათ გამოსახიზნავათ საკმაო დროის მიცემა. რამდენჯერმე მიმართა ვეხიბ-ფაშას განცხადებით, რომ სამშობლოდან ლტოლვილნი დიდს გასაჭირს განიცდიან და ამ ნიადაგზე შესაძლოა ეროვნულ შუღლის გამწვავება. მთავრობა აცნობებდა რომ საჭირო იყო, რათა ოსმალთა მთავარსარდალს სასტიკი ბრძანებით აეკრძალა ყოველივე ძალადობის მიყენება მცხოვრებლების მიმართ, შეიარაღებულ ბანდების მიერ მცხოვრებთა თავდასხმა. მთავრობა არა ერთხელ აცნობებდა, რომ საჭირო იყო გზათა დაცვა, ეს ზომები, მთავრობის აზრით გაამხნევებდნენ ადგილობრივ დარჩენილ მცხოვრებლებს და ხელს შეუწყობდნენ ლტოლვილთა თავთავიანთ ადგილებში დაბრუნებას. ხოლო იმათთვის, ვისაც ჰსურს სრული გადმოსახლება, მთავრობამ ითხოვა ერთი თვის ვადის მინიჭება (ნაცვლად წინანდელ ორი კვირისა). როგორც მოწმობს ვეხიბ-ფაშას წერილი მინისტრთა თავმჯდომარის სახელზე მოწერილი, ყარსის ოლქის მცხოვრებს ნება აქვთ თან წამოიღონ ყოველგვარი ავეჯი და საჭირო სურსათი. მათვე შეუძლიანთ უძრავ და მოძრავ ქონების სხვისათვის გადაცემა ან და გაყიდვა.

ამის გარდა მათ მიიღეს ზომები, რომ მცხოვრებთ ავაზაკების თავდასხმა აცდინონ. ამასთან ოსმალეთის სარდლობა აღნიშნავს, რომ მას გულწრფელად სურს ყოველმხრივ დახმარება აღმოუჩინოს სომხებს. ვეხიბ ფაშის უკანასკნელ დეპეშიდან სჩანს, რომ ყარსის დაცლის პირობებში აღნიშნული იყო: მათ ვისაც ჰსურთ ქალაქში დარჩენა განურჩევლად სარწმუნოებისა და რასისა შეუძლიანთ დარჩნენ საიმპერატორო მთავრობის მფარველობის ქვეშ. ამასთან ისარგებლებენ ყოველივე საზოგადო უფლებებით დანარჩენ ქვეშევრდომებთან ერთად. ამისდა მიუხედავად სომხის ერი უკან გამორბოდა. აქედან ის დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ ან მცხოვრებლებმა არ იცოდნენ ეს დეკლარაცია ან და მასზე დეკლარაციამ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. მაშინ, როდესაც ჩვენ არზრუმში ავიღეთ ასეთი გაფრთხილება ჩვენ ჯარის უფროსს, ქალაქში არ გამოუქვეყნებია. ჩვენი ქომანდა ყოველივე ზომებს ღებულობდა ხალხი თავზარდაცემული არ გამოქცეულიყო ქალაქიდან, მაგრამ „პროპაგანდამ“... აქაც გასჭრა და „სომეხ მცხოვრებლებმა დასტოვეს სამშობლო ადგილები და გამოიქცნენ, იმისდა მიუხედავათ რომ ჩვენები სცდილობდნენ მათ დამშვიდებას და ადგილობრივ დარჩენას. აქედან სჩანს, რომ სომხების გამოქცევაში ბრალი არ მიუძღვის ოტტომანის მთავრობას.

მათ, ვინც თავ თავიანთ ადგილებზე დარჩნენ არაფრისა არ უნდა ეშინოდეთ.

რაც შეეხება შეიარაღებულ ბანდების მოქმედებას, საჭიროდ ვსცნობ გაცნობოთ, რომ ოტტომანის მთავრობა და ლაშქარი დიდის ზიზღით უყურებენ მათ მოქმედებას და იმედს გამოსთქვამენ, რომ მათ მალე ალაგმავენ.

ისიც კი უნდა აღინიშნოს, რომ ეხლა ლტოლვილების დაბრუნება თავთავიანთ ალაგებში განსაკუთრებით კი ყარსის ოლქში, სამხედრო მოსაზრებათა გამო შეუძლებელია. ამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდება ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკებამდის. ეს მოლაპარაკება კი ეჭვს გარეშეა, მალე კეთილად დაგვირგვინდება.

## კონსტიტუციის შემდგენი კომისია

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესადგენათ მთავრობამ უკვე აირჩია კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. კომისიამ უნდა შეიმუშაოს კონსტიტუციის პროექტი, რომელიც სეიმს წარედგინა განსახილველათ.

კომისიის თავმჯდომარედ ა. ი. ჩხენკელია, კომისიაში წევრებათ შედიან 5—5 წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის მკვიდრთა, 3 ეროვნულ საბჭოსაგან, საქართველოს, სომხურ და მაჰმადიანთ: მთავრობამ კომისიაში მოიწვია, როგორც მცოდნე პირები პროფესორები ღამბაროვი და ჯავახიშვილი, ნაფ. ვექ. სერგო ჯაფარიძე, გრუზენბერგი, რცხილაძე და რასულ-ზადე. კომისიის მდივნათ მთავრობამ დანიშნა მთავრობის თავმჯდომარის მდივანი ლ. ე. შერმანი. კომისიის პირველი სხდომა 4 მაისს მოხდა. პირველი სიტყვა ჩხენკელმა სთქვა. მან აღნიშნა თუ რას მოელის მთავრობა კომისიის მუშაობისაგან, რომელმაც ამიერ-კავკასიის ერებისთვის ისეთი პირობები უნდა შექმნას, რომ ყოველი ერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფალ განვითარების და თვითგამორკვევის საშუალების მაქსიმუმით. ამავე დროს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ააყვავოს, განვითარდეს და გაძლიერდეს ამიერ-კავკასიის ყველა ერების შეთანხმებულ მუშაობით. პირველი სხდომა საორგანიზაციო საკითხებს მოუნდა. ეროვნულ საბჭოების მხრით კომისიაში შედიან საქართველოს ეროვნულ საბჭოდან: რ. არსენიძე, გ. გვაზავა, ვლ. გობეჩია, შ. ალექსი-მესხიშვილი და საყვარელიძე; სომხურ ეროვ. საბჭ: პაპაჯანოვი, ფირუმოვი, ხონდკარიანი, ტიგრანიანი და შახატუნი; მაჰმადიანთა ერ. საბჭოდან: გაჯინსკი, ჯაფაროვი, ხასმამედოვი, საფიკურსკი, ხან-ხოისკი.

პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: თავმჯდ. ა. ი. ჩხენკელი, ამხანაგებად: ხოისკი და ტიგრანიანი, მდივნად—გ. ს. რცხილაძე. კომისიის მეორე სხდომა 5 მაისს მოხდა. ამ სხდომაზე დიდი კამათი გამოიწვია სახელმწიფოს წესწყობილების ფორმის და ტიპის საკითხმა: აშკარა იყო 2 მიმართულება: ერთი—ცენტრალიზაცია ფედერაციის სახით, მეორე—ეროვნული დანაწილება კონფედერაციის სახით. მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა წინადადება წამოაყენეს უფლება მიეცეს კონფედერაციის წევრს ეროვნების სეცესსიისა, ე. ი. კონფედერაციიდან გამოსვლისა, თუ უთანხმოება მოხდა კონფედერაციის სხვა წევრ—ეროვნებებთან. კამათის მიზანი იყო აღმოეჩინა მთავარი სახელმძღვანელო ხაზი იმ ცალკე კომისიისთვის, რომელმაც კონსტიტუციის პროექტი უნდა შეიმუშაოს. ამ ცალკე კომისიაში შევიდნენ: პრეზიდიუმი: ხოისკი, ტიგრანიანი და რცხილაძე (ჩხენკელი ბათუმს გაემგზავრა). მცოდნე პირები: გრუზენბერგი და ს. ჯაფარიძე (ღამბაროვი და ჯავახიშვილი ბათუმს გაემგზავრნენ) და თითო წარმომადგენელი ეროვნულ საბჭოებიდან: არსენიძე, შახატუნი და ხასმამედოვი, მდივანი—შერმანი. ცალკე კომისიის პირველ სხდომაზე 7 მაისს, რომელზედაც შემდეგი სხდომისთვის მაისის 11 დაინიშნა გასარჩევად შემდეგი საერთო საკითხები: 1) ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს მოქალაქეთა საერთო პოლიტიკური უფლებანი, 2) კავშირის მთავრობის კომპეტენცია, 3) საკავშირო მთავრობის ორგანიზაცია და 4) ეროვნული უმცირესობათა უზრუნველყოფა.

ცალკე კომისიას თავმჯდომარეობს ფათ-ალი-ხან-ხოისკი.

## კანონი

**მიწათ მოქმედების სამინისტროს ზოგიერთა დაწესებულებების გაუქმების შესახებ.**

(ოფიციალი)

1) 1918 წ. პირველ მაისიდან დაიშალოს კავკასიაში არსებული მიწის მიმზომელთა რაზმი, სახაზინო სადგურების ყურისმგდებელი პარტია და მიწათ-მოქმედების სამინისტროს იურის-საკონსულტო ნაწილი.

2) პირველ პუნქტში აღნიშნულ პარ-

ტიების და რაზმების არქივები და აგრეთვე საველოდეზიო ინსტრუმენტები და სახატავი ხელსაწყო გადაეცეს ამიერ-კავკასიის საოლქო სამდგილ-მამულო გამგეობას.

3) ლრიკებით დარჩეს მოქმედებაში კულტურულ-განმანათლებელ სახით გადმოსახლებულთათვის მზრუნველ ნაწილში არსებული დაწესებულებანი. ეს დაწესებულებანი დარჩებიან მიწათმოქმედების სამინისტროს გამგებლობის ქვეშ. შემდეგ მათი გამგებლობა გადაეცემა საერობო დაწესებულებათ.

4) გაუქმდეს მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულის და მის თანაშემწის თანამდებობა 1883 წ. აპრილის შტატებით შემოღებული. რწმუნებულის საქმეთა არხივი მიწათმოქმედების მინისტრს გადაეცემა.

5) პირველ ოთხ პუნქტში მოხსენებულ გაუქმებულ და შემცირებულ დაწესებულებათა მოსამსახურენი დარჩებიან შტატ გარეშე საერთო წესით თანახმად დროებითი მთავრობის იმ დადგენილებისა, რომელიც 1917 წ. თიბათვის 29-ს გამოიცა.

6) ზემოდ ხსენებულ გასაუქმებელ დაწესებულებათა სალიკვიდაციო კომისიის შედგენა მიენდოს მიწადმოქმედების მინისტრს.

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძე.

მთავრობის თავმჯ. ა. ი. ჩხენკელი.

# ომი

## დასავლეთის ფრონტი

**გერმანეთ-ავსტრია-უნგრეთის ცნობა.**

**ვენა.** მაისის 7. მთელ ფრონტზე დილიდან დაწყებული საღამომდე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ლისის ჩრდილო ნაპირზე შევნიშნეთ ინგლისელ ჯარების წინ წამოწევა. ლაკრესა და სომმას შუა მტერმა ზურგში ავსტრალიის ჯარები ჩაიყენა. კურტკესკენ მიმავალ გზის ორივე მხარეზე მტერმა იერიშები მოიტანა. მან მოაღწია ჩვენს მოწინავე ხაზებს და იერიშის შემდეგ ჩვენი პოსტები დავკარგეთ. აიის არხთან ჩვენ შევიჭერით მტრის ხაზში და კურტკესთან უკან წამოვიყვანეთ ჩვენი ტყვეები.

**საფრანგეთის ცნობა.**

**პარიზი.** მაისის 7. ხაილს-ვილლესბრეტონის ფრონტზე ძლიერი საარტილერიო მოქმედება იყო. ჰარტმან-ვეილლეკორფის სამხრეთით გერმანელებთან ხელჩართული ბრძოლა მოგვიხდა. მტერი დამარცხდა.

**გერმანეთის ცნობა**

**ბერლინი.** მაისის 8. ნიუპორტის არხის სამხრეთით ბელგიელები წამოვიყვანეთ ტყვედ. ფლანდრიაში და ლისთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა კემმელთან და ბაიელის დასავლეთით. სომმის ფრონტზე ტყვედ ვიგდეთ ინგლისელები და ფრანგები. კორბიე-ბრეის გზის ორივე მხრივ მტრის იერიშები მარცხით დათავდა. ლიუსბახთან და აკრის დასავლეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

**სადამოს ცნობა.** დიქბუშირის ტბის სამხრეთით ბრძოლა აქა-იქ სწარმოებს,

**საფრანგეთის ცნობა**

**პარიზი.** მაისის 8. ავრის სამხრეთით და ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლაა.

**ინგლისის ცნობა**

**ლონდონი.** მაისის 8. დღეს დილით პოვენ-კურთან მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა და ერთ პუნქტში შემოჭრა მოახერხა.

# ქრონიკა

## თბილისი.

✦ **კერძო პირების წასვლა ბათუმში.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ ზომები მიიღო იმის გამოსარკვევად თუ რამდენად შესაძლებელია ბათუმში კერძო პირთათვის წასვლა საკუთარ საქმეებზე.

✦ **მხატ. ლეო ჩუბინაშვილი** ესიკოვსკის ცირკთან რევოლვერით მსუბუქად დასჭრეს მაისის 8 საღ. 11 საათზედ.

✦ **დაპატიმრება.** დამცველმა შტაბმა დააპატიმრა ქშესიუკ სპეკულაციისთვის, ქ. ერზრუმის მოქალაქე ჩიხიანცი სადგურზე უწესოების მოხდენისათვის, პრაპ. დრუჩევსკი და მოსეს მოსესიანი სროლისთვის, სამხედრო მოხელე თალიკაძე თვითონებ ჩხრეკისათვის.

✦ **მილიციის უფროსმა მიუსაჯა:** ფარულად სპირტის გაყიდვისათვის გ. კარაკოზოვს 1 თვე ციხე, ლეონ აკუშაძეს და იფანე რასიკოვს ქუჩაში ქალილის თამაშობისათვის 1 თვე ციხე, მარიამ გონტაეს 1 თვე ციხე, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირს.

✦ **ვართან პაპიკიანი.** ორგოვთან ბრძოლაში მოჰკლეს „ვან-ტოპს"-ის (ოსმალეთის სომხეთის ორგანო) რედაქტორი ვართან პაპიკიანი.

✦ **ნახიჩევანის მაზრაში** მთავრობის განკარგულებით ჯავშნოსანი გაიგზავნა. მაზრაში ძარცვა-გლეჯა სწარმოებს.

✦ **ტყუილი ხმები.** ხმები ბათუმსა და ტრაპიზონში გერმანელების მიერ დესანტის გადმოსხმის შესახებ ტყუილი გამოდგა.

✦ **ქართველ მხატვართა საღამო.** მაისის 18-სთვის ქართულ კლუბში განზრახულია ქართველ მხატვართა საღამო. პროგრამა საღამოსი მრავალ ფეროვანი და ფრიად შინაარსიანია. საღამო განიყოფა ორ ნაწილად: პირველად შესდგება საკონცერტო განყოფილებისგან, განსაკუთრებით დ. არაყიშვილის ორიგინალურ ნაწარმოებთაგან, სხვათა შორის შესრულებული იქნება გაძლიერებულ ორკესტრით შესავალი „თქმულება შოთა რუსთაველზედ", „თამარ მეფის კავატინა", „თუშის ქალთა ცეკვა" „ესმერალდის ცეკვა". ი. სარაჯიშვილის, ა. ინაშვილის და სხვათა მიერ შესრულებული იქნება არაყიშვილისვე რომანსები. ხოლო მეორე ნაწილი—ვახშამი-კაბარე. კაბარე მხოლოდ მხატვრულ ნომრებისგან იქნება შემდგარი.

✦ აღდგომის პირველ დღეს ქალაქში 42 მკვლელობა ყოფილა იყო ბევრი შემთხვევაა დაჭრისა და დასახიჩრებისა.

✦ **მკვლელობა.** აღდგომის ღამეს სოლოლაკში პასკევიჩის ქუჩაზე მე-3 კომისარიატის ახლო პირველი კომისარიატის მილიციელმა ილ. აღდგომელაშვილმა რევოლვერით მუცელში დასჭრა მილიციის უფროსის შოფერი ლიტანოვი, რომელიც მაშინვე კომისარიატში შევარდა. აღდგომელაშვილი უკან დაედევნა მას და კომისარიატის დერეფანში მოჰკლა. მილიციელი აღდგომელაშვილი, რომელსაც ბოთლით თავი ჰქონდა გაჩეხილი, მილიციელებმა და გვარდიელებმა თავდაცვის შტაბში წაიყვანეს და გზაში მოჰკლეს.

✦ **საბავშვო წარმოდგენა** შაბათს 11 მაისს (28 აპრილს) „ქართულ კლუბში" გაიმართება პირველი საბავშვო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ბავშვთა სამეფო". როლებს შეასრულებენ ბავშვები, დასაწყისი 1 საათზე დღისით, ბილეთები იყიდება კლუბის კასსაში.

✦ **ქართ. გიმ. არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ** შემოვიდა შემდეგი შემოწირულება განსვენებულ ე. ა. ყაზიბეგის ხსოვნის აღსანიშნავად: 100 მ. თავ. ა. ნ. და გ. ნ. ერისთავებისაგან და 100 მ. რ. ნ. ყაზიბეგისა და მისი ოჯახობისაგან. სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

✦ **ყაჩაღობა კავკავის სამხედრო გზაზე.** კავკავიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე ყაჩაღობა ისევ გაძლიერებულა.

✦ **თავის მოკვლა.** მაისის 6 „სასახლის სასტუმროში" რევოლვერით თავი მოიკლა ელენე ტარნოვსკაიამ, 19 წლისამ.

✦ **მკვლელობა.** მაისის 5 თებერვლის 19 ქუჩაზე, წითელგვარდიელმა გიორგი ბერიშვილმა ბერდანით მოჰკლა სასადილოს პატრონი გაბრ. მატინიანცი. მოკლულ იქმნა შემთხვევით აგრეთვე ქუჩაში მიმავალი აკოფ აბრამოვი.

✦ **ბორჩალოს მაზრაში** ეროვნებათა შორის შეტაკებების გამო მთავრობა იქ დელეგაციას გზავნის. ბორჩალოს მაზრის კომისარი ახვერდოვი უკვე გამოიწვიეს ტფილისში.

✦ ნახჩევანში ჯავშნიანი მატარებელი იგზავნება. სამშვიდობო დელეგაციას იქ სპარსელი ქურთები დასცემიან.

✦ **თბილისის ყრუ-მუნჯთა სასწავლებელში** კურსი დაამთავრა სამმა მოწაფემ, ამათში ორმა ქართველმა: სოფიო მარინაშვილმა (პირველ მოწაფეთ) და სერაპიონ ახობერიძემ.

✦ **ქართველ ქალთა სანიტარული რაზმის კომისია** აცხადებს, რომ მელიქიშვილის სამკურნალოში ლექციების კითხვა განახლდა სამშაბათიდან, მაისის 7 დილიდან ას. სტ. და ხუთშაბათისთვის 9 მაის ას. სტ. საღამოს 5 ს. დანიშნულია საზოგადო კრება; განსახილველია შემდეგი საკითხები: გამოცდების დრო, პირობები და სხ. გაბაშვილის შესახვევი № 5, ქალთა ამხანაგობის სკოლაში.

✦ **„ორი გმირი".** ორშაბათს 13 მაისს (30 აპრილს) ქართულ კლუბში ქართველ მსახიობთა მიერ დამსახურებულ მსახიობ ვ. გამყრელიძის და შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა გურულების ცხოვრებიდან „ორი გმირი". უმთავრეს როლებს შეასრულებენ საუკეთესო ძალები. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კლუბის კასაში.

✦ **დაკარგული პიესები.** ამ დღეებში ცნობილის პოეტის მიხ. ბირთველ-თუმანიშვილის ქალიშვილებში მის შვილებს უპოვნია სია გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის და სხ. პიესებისა. უმეტესი ნაწილი ამ პიესებისა დიდი ხანია დაკარგულია და ზოგიერთების ხსენება არც კი იყო აქამდის ვისმესგან გაგებული. აქ მოგვყავს დაკარგულ პიესების სია. იქნება რომელიმე მკითხველს შემთხვევით სადმე უნახავს ეს პიესები. ჩვენი რეპერტუარი ისე მდიდარი არ არის, რომ ერთი მაინც ძველი დაკარგული პიესა არ გამოადგეს. გ. ერისთავის პიესები: 1. კარაპეტა ქალაქში, 2. სადგურის სმოტრიტელი, 3. პოლიციის კომისარი, 4. ბაბოს თუთიყუში. ზ. ანტონოვისა: „თეთრი დათვი ფაშისა", „კოტრი ზარაფი", „ჯერ მოკვდნენ და მერე დაქორწილდნენ", „ოჰ! მართალთ გამკითხავო, შენ მიპატრონე". არტისტის მეღიფარიანისა: „ქმრები გავაბით მახეში". ჯაფარიძისა: „ეჭვიანი ქმარი" და დვანაძისა: „ქირით დაჭერილი სახლი კუკიაში". ამ წელს, 19 მაისს, შეუსრულდება ასი წელი მ. თუმანიშვილის დაბადებიდამ და ამის გამო მისი შვილები აპირებენ მის ლექსების ახალს შევსებულ გამოცემას. ისინი განაგრძობენ განსვენებულ პოეტის არხივის შესინჯვას. თუ კიდევ იპოვეს რამე საინტერესო ლიტერატურულ მასალებისა, ისინი დაგპირდნენ ჩვენ გადმოგვცენ. დ. ველრებიშვილი.

**რედაქციის შენიშვნა:** თავ. მიხ. ბირთველისძე-თუმანიშვილი დაახლოვებით იცნობდა გიორგი ერისთავს, ხშირათ სწერდა პირველ დროინდელ ქართულ თეატრზე გაზ. „კავკაზში", (იხ. იმის თხზულებები 1881 წელ.) როგორც სცენის მოყვარული ასრულებდა სუფლიორის თანამდებობას.

✦ **დაკარგული ჯარის კაცი.** ჯარის კაცი ივანე (იონა) პავლეს ძე კილოსანიძე რვა წელიწადს მსახურებდა ჯარში. ომის გამოცხადებიდან გადმოყვანილ იქნა კავკასიის ფრონტზე რუსეთიდან, 4 ქვეითა 27 ერევანის საზღვრების მცველთა რაზმში. შემდეგ გადაყვანილ იქნა სხვა და სხვა ერთეულებში. უკანასკნელად იმყოფებოდა ქ. ბაქოში 269 ქვეითა მარქაფა ერთეულში 13 რაზმში. აგერ მეექვსე თვეა, რაც მისმა ჭირისუფლებმა ბისი არაფერი იციან. ვერც წერილით, ვერც დეპეშით ვერაფერი გაიგეს. უმორჩილესად ვთხოვ, თუ ვინმე რამე იცის მის შესახებ, მაცნობონ პრესით, ანუ წერილობით შემდეგ მისამართით: ქ. პიათურაში, ხიბლიოთეკა-სამკითხველოში პლატონ პ-ძე კილოსანიას.

## შეცდომის გასწორება

წინა ნომერში (№ 85) მოთავსებულ ა. ახვთიანის ფელეტონში: ბათუმი. შეცდომებით დაისტამბა. დასაწყისში უნდა იყოს: „საქართველოს დანარჩენი ზღვის ნაპირი ან გაუვალი ჭაობია და, მაშასადამე, ამ ქამად ქვეყნის ზღვის გზებთან დასაკავშირებლად ნაკლებად გამოსადეგარი, ან და დაშორებულია ინტერლანდს, რის გამო მცირდება მისი მნიშვნელობა. ცოტა ქვევით უნდა იყოს: „მას იცნობენ რომის ხანაში, ხოლო საშუალო საუკუნოებში ბათუმი ცნობილი იყო, როგორც გურიის სატახტო ქალაქი და ნავთსადგური". მეექვსე სვეტის დასაწყისში უნდა იყოს: ჩვენი სამშობლოს ინტერლანდს არ აკრავს მეორე ნავთსადგური, რომელიც იმდენად დამაკმაყოფილებელი იყოს, რომ ასეთი ეკონომიური დანიშნულება პირნათლად შეასრულოს". ამავე სვეტის ბოლოს: „მასში მარტო ციხე-სიმაგრეს კი არ დაინახავენ, არამედ უწინარეს ყოვლისა ნავთსადგურს და ზღვის ნაპირს" და სხვ.

# სპარსეთში

## ადერბეიჯანის საკითხი

როგორც ვიცით ამ ბოლო დროს აღიძრა საკითხი ადერბეიჯანის სპარსეთისაგან გამოყოფის შესახებ. სპარსეთის მთავრობამ უკვე მიიღო ზომები ასეთ მოძრაობის ჩასაქრობად. თეირანიდან თავრიზში უკვე გაიგზავნა ბახტიართა ძლიერი რაზმი სპარსეთის მიწა-წყლის მთლიანობის დასაცავად.

# პატარა ფელეტონი

## პეტრეს გოდება

სოფელ არაშენდის ორღობეში თავჩაღუნული მიდიოდა შიო მღვდელი და საშინელ ფიქრებში იყო გართული: ვერაფრით ვერ აეხსნა არაჩვეულების მდინარება, იმათი გაავზნეება, სამართლიანობის და სვინიდისის დახშობა.

— ღმერთო, ჩემო, ნუ თუ რევოლუცია, ეს კაცობრიობის სადიდებელი და სათაყვანებელი „მოქცევა", ადამიანთა მორჯულების და კაცთა ქცევის მაგიერად, ამხეცებს ადამიანებს?! აი ერთი წელიწადია თითქმის, რაც რევოლუციის შემყურებელი ვართ და დღითი-დღე ხალხის უზნეობა, გაპირუტყვება თანდათან მატულობს და, როგორც სჩანს, საშინელ შედეგებამდე მივა! კაცის სიცოცხლე, იმისი სისხლის დაქცევა ჩალად აღარავის მიაჩნია...

უცებ საშინელი სლუკუნი მოესმა და თავი მაღლა აიღო.

იმის პირდაპირ მოდიოდა მოხუცი, კოჭლი პეტრე მინდიაშვილი და მგლოვიარე დედაბერივით ქვითინებდა და ჩოხის კალთით ნახევრად ამოწუწულ თვალებს იწმენდავდა.

— პეტრე! კაცო, რა დაგმართნია? მეუღლე ხომ არ დაგიხიანდა?

— ოჰ, მამაო შიო! შენდობა, შენი ჭირიმე და საჩქაროდ თვალებიდგან ჩოხის კალთა მოიშორა და მღვდელს ხელზედ ემთხვია.

— დედაკაცი კი ცოცხალი მყავს, კვლავ სლუკუნით განაგრძო პეტრემ, მაგრამ სატირელი ორთავეს დიდი გვაქვს და არ ვიცით რითი უშველოთ ჩვენ თავს!

— რა ამბავია, კაცო? შენც ხომ სასახლეები არ გიდგია, ჯორი და აქლემის ნახირი ხომ არა გყავს, რომ დაგერბიოს ვინმე და აგიკლოს? არც თავადის სისხლი ტრიალებს შენს ძარღვებში, როგორც ვიცი!

— კაცი რო დარბევას ხელობათ გაიხდის და ავაზაკობას შეეჩვევა, შენი ჭირიმე, ყოველთვის იშოვნის დასარბეველს და სავაზაკოს: განა არ მოგეხსენება, რომ აგერ 15 წელიწადია ადვოკატ გიორგი მამაცაშვილის სახლობასთან ვცხოვრობ? ზამთარში იმათ სახლსა ვყარაულობთ მე და ჩემი დედაკაცი და ზაფხულში, როდესაც ისინი „დაჩათ" მობძანდებიან, რითიც კი შეგვიძლიან ორ დავრდომილ და ჯანგატეხილ ადამიანს, ვემსახურებით. იმათ სახლში გვაქვს მშვენიერი ბინა, სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელ-დასახურავი და კეთილი სიტყვა, მამაშვილური განწყობილება. დედაბუდიანად—ქალი თუ ვაჟი ხვთის შვილები არიან: მოწყალენი, კეთილნი ზრდილნი და განა თუ ჩემთვის, იმათი ზაფხულობით ამოსვლა მთელი სოფლის დღესასწაულია. ქალი ჰყავს გიორგის ექიმი და ვაჟი, მგონია თუ არა, მარტო ჩვენი სოფელი კი არა, მთელი ჩვენი მაზრა მოდის იმათთან სანუგეშოთ, ყველას მუქთად სწამლობენ, წამალსაც თითქმის ყველას თითონ აძლევენ... სადაცა გამოუჩნდებათ რამე და თითონ გიორგი უკეთებს საქმეებს. გიორგის დახმარებით არ იყოს, შენი ჭირიმე, რომ ბანკისგან ი უკვე დავვება კლდიკარის მამული შეისყიდეს და დღეს ბოლ-ლადათ დადიან ტყეში და მინდორში... მაგრამ აწ დიდი ბევრი გაგიგრძელო, თქვენც გაგონილი გექნებათ მამაცაანთ ადამიანობა, იმათი თავდადება ყველა გაჭირვებული ადამიანისათვის და ქართველი გლეხისათვის გარდამეტად, და აბა იმათთან რა უნდა ჰქონდეთ სამდურავი, სამტრო, მაგრამ, აგი მოგახსენე, ხალხი გაეუსაბდა, აირია, რას შვრება და რას ამბობს, აღარ ესმის!

— აი გამამიტაცეს მამაცაანთ ოჯახიდან და აქ ჩემ ნახევრად დაქცეულ ბოსელში ამომარიეს.—აქ უნდა იცხოვროო, არ გაბედო „ბურჟუების" სამსახურიო. აბა როგორ ვიცხოვრო, რითი ვიცხოვრო? ჯანი მე აღარა მაქვს, ნახევარი კაცი ვარ და ლუკმა რითი უნდა შევიძინო, ან ჩემ მშვენიერ, ბედნიერებით სავსე ბინას, თავი რად უნდა დავანებო? აბა სამართალია ესა? გიორგის ოჯახი ჩემი ოჯახია, იმისი შვილები ჩემი შვილებივით ნაამაგდარევი და შვილებზედ უკეთესად ჩემი პატივისმცემლები და იმათ სახლს, გაწყობილს, გამართულს და მშვენიერს, თავი დავანებო, ულამაზო, უპატრონოდ დავტოვო, რომ მტერმა აარბიოს და დედამიწასთან გაანადგუროს დიდის შრომით და სიყვარულით ნაგებ-ნაშენი ოჯახი?!

— ამას წინად თოფი ვთხოვე გიორგის უფროს შვილს გიგის.—რა ვიცი სიფრთხილეს თავი არა სტკივა, არეულობაა, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, ე ძრომები არავინ დამტაცოს მეთქი, უთხარი.

სიცილად არ ეყო—ეხლა როცა ძმობა, ერთობა და თავისუფლება გამეფდა ქვეყანაზედ, როცა კაცი ღმერთის თანაბარად გახდა, განა ტაციაობას კიდევ ეკადრება ვინმეო? შენ დამშვიდებული იყავი და ჩვენც შენზე მეტი მცველი არ გვინდაო. ეხლა რაღა პირით უნდა შევხედო, იმდენი პირუტყვი და ფრინველი უპატრონოდ დავატოვებინეს. დედაკაცი თვალებს ითხრიდა ტირილით, ათი კრუხი მიზის კვერცხებზეო, სამი ახალი მოგებული ხბორები ჯერ-ჯერობით ძლივს დგანან ფეხებზედ და სიმშილით დამეხოცებიანო.

— დილას ჯერ ნარიჟრაჟევი არ იყო, რომ ქურდულად სოფლიდან გავიდა და თავის ბერას მიეპატრონა. „მე წავალო და დეე ჩემ მოვალეობის ასრულების დროს მომკლანო. და აბა მე როგორღა გავჩერდე აქ? მეც წავალ და თუ სოფელი უსამართლოდ დამსჯის, ღმერთი იყოს იმისი მსაჯული—შენც, მამაო მოძღვარო, ერთიორიოდ სიტყვით დამეხმარე და ჩააგონე იმ უგუნურებს თავიანთი შეცდომა,—მოწიწებით ეხვეწებოდა პეტრე მღვდელს.

— მე მზად ვარ, ჩემო პეტრე, ყოველის ღონისძიებით გამოვესარჩლო და ის პატიოსანი ოჯახიც განსაცდელს გადავარჩინო, მაგრამ ეხლა განა ჩემს რჩევას ყურს უგდებს ვინმე! ბოროტებას უდგას სამკვიდრო ხელშეუხებელი და ზნეობის გახრწნილებას სიბნელე განუჭვრეტელი!..

— ხალხნო, ჯამაათნო, ქრისტიანებო! გვიშველეთ, გვიშველეთ! საშინელის წივილ-კივილით გამოჩნდა ორღობის თავში თმებ-გაწეწილი, გიჟივით თვალებ-გაჭყეტილი, სიმწარით ლოყებ-დაკაწრული, სისხლით მოსვრილი პეტრეს ცოლი მარიამ.

— რა იყო, ადამიანო, რა იყო? ერთად შეჰყვირეს პეტრემ და მღვდელმა და საჩქაროდ მიაშურეს ძირს დაცემულ დედაკაცს ასაყენებლად.

— ცეცხლი! ცეცხლი! ცეცხლი წაუკიდეს გიორგის სახლკარს! ხვთის რისხვა მოედო მთელ გარეშემოს... დამწყვდეული საქონელი ბღავის, ფრინველი ფრთხიალებს, ძაღლები წკავწკავებენ... იღუპება სიცოცხლე, სიმდიდრე, სიმშვენიერე... ჭკუა მერყევა... გული მიმდის...

წყეული იყვეს, იყვეს წყეული... იყოდა! სასოწარკვეთილებით ბუტბუტებდა და თავში იცემდა ზარდაცემული დედაკაცი.

და თითქოს იმის სიტყვების დასადასტურებლად თვით ცეცხლის გენია, ჯოჯოხეთურად აგზნებული, ზეცამდინ ავარდნილი გამოჩნდა ბარიდგან და საზარლად სისხლის ფრად შეღება შეშინებული არე-მარე და სამი გაშეშებული ადამიანი, რომელთა თვალნი ზეცად იყვნენ აპყრობილნი სასაყვედუ-

რომ იმ ხეობებისათვის, რომელიც ასე უსამართლოდ გზაზედ თავის რაისხებს კავშირი მოეძებნა განსაკუთრებით, მეტად შორის ინტენსივის უბნისა და მეურნეობის განვითარებისა.

**იქ. გაბაშვილი.**

## ქ. შ. წ.-ქ. ს. რწმუნებულთა კრება

ქვირას, 12 მაისს, დილის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1) 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოხსენება ანგარიში (§18); 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) მომავალი გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ; 4) 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა; 5) მოგვარე გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა (§§ 17, 31); 6) სასკოლო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობის, წიგნების გამომცემელი და სამეურნეო სექციათა არჩევნები. საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულები (თანახმად წესდების მე-15 მუხლისა). რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები. პროვინციებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან რწმუნებულებად.

რწმუნებულები ჯერ-ჯერობით არჩეულნი არიან შემდეგ განყოფილებათაგან:

1) ახალციხის განყ.—მღვდ. ბენიამინე კანდელაკი, 2) ბათომის—მიტროპოლიტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე, ინწკირველი ამვროსი ნესტორის ძე, გოგოლაძე კაპიტონ ალექსის ძე, მგელაძე ალექსანდრე, კილაძე გერასიმე დიომიდის ძე, კიკავა ფილიპე ანდრიას ძე, ჯაყელი ნიკოლოზ ვახტანგის ძე, გერსამია სერგეი, კობახიძე კონსტანტინე ივანეს ძე. მათ კანდიდატებად: ჰელიძე და რამიშვილი. 3) ბაქოს—ახობაძე ვლადიმერ, ზაქრაძე ვლადიმერ, დადიანი იოსებ იულონის ძე, ყორყოლიანი ალექსანდრე მაქსიმეს ძე და ქარუმიძე პავლე. 4) განჯის—ხარაძე ლუკა, ბერიშვილი გიორგი დევ. 5) გორის—შიუკაშვილი ნიკოლოზ და მაჭავარიანი სიმონ. 6) გუმბრის—ციხისთოვი არჩილ, მამულაიშვილი ნესტორ, ჩხეიძე ვალერიან, მაჭავარიაშვილი. 7) ლანჩხუთის—ჩხაიძე ეპიფანე, ფხაკაძე ეკატერინა, ფირცხალაიშვილი ნიკოლოზ. 8) სენაკის—ლორთქიფანიძე პოლ., მაღრაძე გ., ხარბედია ბიკენტი, თეგზაია ნიკოლოზ. 9) სიღნაღის—ჯანდიერი ნიკ., დაფქვიაშვილი გიორგი დ. 10) სოხუმის—ჯუღელი ვლ., მახვილაძე ვლ., თუთქია ნისო, გვაზავაშვილი იაკიმე. 11) ტფიპსის—ლოსაბერიძე იოსებ, ბიხუა ბიქტორ. 12) ქიათურის—ექიმი სიმონ დავითის ძე ჯაფარიძე, გიორგი ანტონის ძე ანთელაძე. 13) ხონის—მაქარაძე ალექსანდრე. 14) თბილისის—გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, ნოე რამიშვილი, კ. გვარჯალაძე, პ. კახიანი, თევდორე კიკვაძე, გიორგი მაჭავარიანი, მიხაკო წერეთელი, გიორგი ცისცაძე, ალ. ნაცვლიშვილი, ნ. ელიავა, კირილე ნინიძე, ტერენტი წერეთელი, რაფიელ ჩიხლაძე, ნ. ცინცაძე, არსენ მაჩულაიშვილი, პ. წიოქაძე, გ. ზახვაძე, ფ. ლორია, ი. გიორგაძიანი, გ. ნიჟუა, უ. ელიავა, უსანეიშვილი, ფ. მეელაძე, პეტრე ქავთარაძე, პავლე ქავთარაძე, გ. ბურჯანაძე, შ. შარაშიძე, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, ალ. მდივანი, დ. ჟუზნაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, ნინო ნაკაშიძე, აკ. შანიძე, აკ. პაპავა, სეით იაშვილი, ქ. რაჭველიშვილი, ე. ტოროტაძე, დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი, იპოლიტე ვართაგავა, ივანე აბაშიშვილი, ი. ციციშვილი, იულია იაშვილი, დ. ღუმბაძე, ი. ბერძნიშვილი, გ. იმნაიშვილი, შ. დედაბრიშვილი, ხ. ზაქარიაშვილი, გრ. ნათაძე, შ. ზანდუკელი.

## კორესპონდენცია
### ცხინვალიდან

გაზაფხულდა, მაგრამ პრილობა მიყენებულ ცხინვალს აღარ ეტყობა ის ძველებური სიცოცხლე, რომლითაც

მეტი რიგად იზიდავდა ყველას. თვითონ მცხოვრებნი კი უფრო ჩამოყრილნი და რადიკალურ ინტელიგენციას, გულგრილად მოიხსენიებს. მართალია, ცხოვრების მოვლენების ზეგავლენამ სახე შეიცვალა, რომ მიმავალი ოსების, სომხების, ქართველების და ებრაელების ერთობა იმ მეზობლური ცხოვრების გამო, რომ ზოგიერთი მათგანი ჰგონებს, რომ ხანგრძლივი არ უნდა იყოს ეს კითხვა მეზობლური განწყობილებისა, ჰგონებს, რომ ნაძირალი ...

...დებიან და სამაგიეროს გადახდას იქადებიან „სისხლი აღვილად არ მოითმინება“, გაიძახიან ისინი. საკვირველია, რომ სისხლში მოთხვრილი ხელები იანი სხვების სისხლს უკიჟინებენ! ესენი ჰრევენ გულუბრყვილო სოფლის ხალხს, ერთხელ კიდევ უნდათ ფილაგნობაში ჩაითრიონ უდანაშაულო ხალხი და ბოლშევიზმის სახელით ანაცვალონ თავიანთ ქვენა გრძნობებს.

მაგრამ ცხინვალს და საზოგადოდ მთელს მის რაიონს აღარა აინტერესებს რა, არც ბოლშევიზმი, არც მენშევიზმი, გარდა ერთი მყუდრო ცხოვრებისა. მან კარგად იცის, რომ ამრევ-დამრევი უბრალო მასა კი არ არის, არამედ ინტელიგენცია. დიდი ხანია იცნობს ცხინვალი ოსობას, მაგრამ მასთან კონფლიქტი არასოდეს მოსვლია ნაციონალურს ნიადაგზე. მას შემდეგ, რაც ჯავამ გამოიარა ეგისტორიული ხელით გამოზრდილი ინტელიგენცია, თანდათანობით შემაერთებელი ხიდი ტყდებოდა ცხინვალსა და ჯავის შუა. აგრესიულად აზვავებულნი ისინი მხოლოდ მომენტს უცდიდენ და ეს მომენტიც უკვეთესი შეუძლებელი იყო, როგორც დღევანდელი დღე, როდესაც ბოლშევიკობს ყვე...

...ლა ხელიდან მიდის, რომ მეტი დასასრულს, მშვიდობისა და ... ცოტა ადამიანობა ... იმ დიდი ნაწილის ... რომელიც ...

...დღესაც ქართველი ერის რაიმე პოლიტიკური უბედურობა უნდა იყოს. რამდენადაც მაღლა აიწევს ჩვენი ერის განსაცდელის ტემპერატურა, იმდენად უნდა ვეცადოთ, რომ დამდგარია დრო მათი ახალი აზვავებისა და ლაშქრობისა. ერის განსაცდელი მათი შურის ძიების ობიექტად გარდაიქმნება, რომ ფანტაზიას ფართო გზა მისცენ ვითომც საქართველოს ტერიტორია თვით მცხეთამდინაც-კი ჩამოჰქონდ იქმნას. მაგრამ ჩვენ არა გვგონია, თვით ხალხი, მასსა, ხელმძღვანელთა ავანტიურას ბოლომდინ ჩაჰყვნენ. ჩვენ გვწამს, რომ კეთილ მეზობლობის დაზიანებულ ხიდს ისევ შეამთელებენ, თუ არა ჰსურთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩატყდეს იგი და საშინელი შვილო კეთილდღეობა შურის საძიებელ მახვილის წვერზე ჩამოეკიდოთ.

**ქართლელი.**

# საჭიროა
## ჯანმრთელი ძიძა

ორი თვის ბავშვისათვის. პირობების გაგება შეიძლება—პანასკევის ქუჩა, № 46. ბინა შტეინგელისა.

1-1601-1

---

## დილის წარმოდგენა

დილით 1 ს. — **ქართული კლუბი** — დილით 1 ს.

შაბათს 11 მაისს (28 აპრილს) წარმოდგენილი იქნება

# ბავშვთა სამეფო

ზღაპ. 3 მოქ. ს. გლახაშვილისა.

როლებს შეასრულებენ ბავშვები. — დასაწყისი 1 საათზე.

---

## ქართული კლუბი

შაბათს, 28 აპრილს (11 მაისს)

ნ. დავითაშვილისა და მ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დავით ერისთავის ცნობილი პიესა შაჰაბაზის დრამიდან

# სამშობლო

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. — 2—1

---

## ქართული კლუბი

ორშაბათს, 13 მაისს (30 აპრილს) 1918 წ.

ქართველ მსახიობთა მიერ ლიმას. ვიქტორ გამყრელიძის და შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ჟურნალების ცხოვრებიდან

# ორი გმირი

დრამა 3 მოქ. გ. ეუნისი.

1 მოქ. შეთქმულება და ღალატი. 2 მოქ. კარჩხალის მთებიდან ოხმალთა განდევნა. 3. მოქ. უდანაშაულო ხასჯელი.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე კლუბის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე ბ. ფრანგიშვილი. — (3—1) — რეჟისორი ვანო ზარველი.

---

# სავალდებულო დადგენილება
### დამტკიცებული
## ქალაქის ს. გფოს მიერ

1) ის სახლის პატრონები, რომელთა სახლები შეფასებულია არა ნაკლებ 10 ათას მანეთში, მოვალენი არიან დღეიდან ერთ კვირის განმავლობაში შემოიტანონ სახლების ღირებულობის კვალობაზე შეწერილ ფულიდან დარჩენილი გადასახადი, როგორც წარსულ წლების ისე მიმდინარე წლის ნახევრისა.

2) ერთ კვირის განმავლობაშივე უნდა შემოიტანონ ქალაქ თბილისის ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ ამ ნახევარ წლის და წარსულ წლების დარჩენილი გადასახადები.

3) მათ, ვინც ახდიან ქალაქის ყოველნაირ გადასახადს ხოლო არ შედიან ზემოდ ხაჩვენებ არც პირველ და არც მეორე პუნქტში აღნიშნულ კატეგორიებში, და აგრეთვე მათ ვისზედაც დარჩენილია რაიმე გადასახადი ან წყლის ან საიჯარო და სხვა ამ გვარი—ევალებათ ვალის მოხდა ამ ნახევარ წლისაც პირველ მაისისთვის ძველ სტილით.

4) ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში მიეცემიან საქალაქო დებულების 29 მუხლის თანახმად.

2—1

---

## თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა
# დროებითი საბჭო

და ადგილობრივი კომიტეტი კვირას 12 მაისს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში იწვევს თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრებას ყველა დარგისას.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება შესახებ მოსალოდნელ ფინანსიურ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს წარმომადგენლობისა, 2) თუ რა ზომები იქნას მიღებული, რომ ბ. ბ. ვაჭარ მრეწველებმა გაიგონ და უფრო სამართლიანი დაწესების საქმე ხელს უწყობდნენ. 3) შეუძლებლობა იმ პირთა საქმეები ... 4) ... საკითხები და სხვა საქმე.

რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხები განიხილება ბ. ბ. ვაჭარ მრეწველნი გთხოვთ დროზე მობრძანდეთ კრებაზე.

2—948—1

---

## ცხადდება, რომ შემნახველ საკასის
# ეროვნული ფონდის სასარგებლოდ
## მიიღება ეროვნულ საბჭოს სამდივნოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

---

კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატის მიერ ნებადართულია სამ თვიური

# იურიდიული კურსები

## ნაფიც ვექილ ნ. ნ. მაქსიმოვის ხელმძღვანელობით

კურსების მიზანი: 1) იურიდიულ მეცნიერებათა სწავლება, 2) იმ პირთა მზადება, ვისაც ჰსურს იმსახუროს სახელმწიფო, საზოგადო თუ კომერციულ დაწესებულებათა შორის. პროგრამა: სისხლისა და სამოქალაქო უფლებათა საფუძვლები; სისხლისა და სამოქალაქო პროცესები; სახელმწიფო და სადმინისტრაციო უფლებათა მოკლე კურსები; სათავადაზნაურო და სავაჭრო უფლებები; საქალაქო და საერობო დებულებანი; წესდება მილიციის შესახებ; კოოპერაციის კურსები. სასყიდელი თვითეულ კურსისა 200 მანეთი, რაიც ორჯერადად შეიძლება შემოიტანონ. ჩაწერა შეიძლება ელისაბედის ქუჩაზე, № 67, საღამოს 5—7 საათზე. მეცადინეობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(5—1587—3)

---

### ახალი წიგნი
## გრიგოლ ვეშაპელი.
# საქართველო და რუსეთი

(მეფე ერეკლეს პოლიტიკა)

საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.

**ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.**

წიგნი იყიდება: „საქართველოს“ კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის“ და „წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში.

---

### მომხმარებელ საზოგადოების
# „დახმარების“

გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ საზოგადოების საქმე გაფართოვდა და ამ კვირაში, აღდგომის წინა დღეებში, გაიხსნა განყოფილება მთავარი მაღაზია მოთავსებულია ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლღას ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება“.

საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადაიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 13 მანეთი, უნდა სასწრაფოდ შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.

ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან როგორც ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (ივ. აბაშიძესთან) და გაზეთ „საქართველოს“ კანტორაში (ვერენი გამგებლობთან).

**ერევნის მოედანზე მაღაზია გაიღო აღდგომის წინა დღეებში.**

---

### მარტის 20 გაიხსნა ახალი
# სამკურნალო

კბილების ავადმყოფთათვის ექიმ ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

დარიგება ხიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

---

ხამკურნალო კაბინეტი ექიმ
## ალექსანდრე დავითის ძის
# კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

---

დოქტორი მედიცინისა
### მოსე ანთიმოსის ძე
# კალანდარიშვილი

უწყობილი ექიმი არხ. გაღეულთა კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

---

### ექიმი
# გ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებათა სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-მონდის“ პირდაპირ.

თ—1018—29

---

### ექიმი
# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ა—1536—10

---

### ექიმი
## დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
# ქორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.

გორის ქუჩა № 6, ლილუბე.

ტელეფონი 14—37

1ი—960—37

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა გაბაშვილის შესახვევი № 4.